

ოქმი N3
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
მორიგი სხდომის

2016 წელი, 3 თებერვალი
ქ. ოზურგეთი
11.00-14.00 საათი

თავმჯდომარეობდა: დიმიტრი კვერდელიძე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე.

ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის საკრებულოს: ლ. საჯაია ე. გორდელაძე, დ. ჭაკნელიძე, ტ.აროშიძე, გ.ჩავლეშვილი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციათა თავმჯდომარეები: ვ. ვადაჭკორია, გ. კილაძე, ბ. ღლონტი, თ. ბურჭულაძე, ალ.გოგოძე.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები: მ. ჩხაიძე, ნ. ურუშაძე, დ. თენიეშვილი, გ. კოჩალიძე, ი. მამალაძე, რ. სკამკოჩაიშვილი, ვ. ნიჭარაძე, ბ. გობრონიძე, ნ. კალანდარიშვილი, ლ. კილაძე, გ. მესხიძე, ლ. სიჭინავა, ლ. ნაცვალაძე, კ. გობრონიძე, ბ. იმნაიშვილი, ვლ. ჩავლეშვილი, ბ. ლომჯარია, ი. დუმბაძე, დ. სიხარულიძე, დ.მჭავანაძე, მ.ბერიძე, შ.დოლიძე, რ.გაბაიძე, გ.კოჩალიძე, პ.კილურაძე, ხ.წულაძე.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე - ბ. გობრონიძე.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატისა და გამგეობის პასუხისმგებელი მუშაკები; მასმედიის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საზოგადოების წარმომადგენლები, საზოგადოებრივი დარბაზის წევრები.

სხდომის თავმჯდომარე დ. კვერდელიძე მიესალმა საკრებულოს წევრებსა და დამსწრეთ, მიაწოდა ქვორუმზე ინფორმაცია (42 დეპუტატიდან რეგისტრაცია გაიარა 36-მა, სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას), გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომლიც დაამტკიცეს 32-ხმით.

დღის წესრიგი

3.1. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის N43 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

მომხს: დ. კვერდელიძე
თანამომ: გ. მამაკაიშვილი
დადგენილება თან ერთვის
მიღებულ იქნა 32-ხმით

6.2. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დასახლების საერთო კრების ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

მომხს: დ. კვერდელიძე
თანამომ: ე. გორდელაძე
განკარგულება თან ერთვის
მიღებულ იქნა 32-ხმით

დადგენილების მიღების ვადად განისაზღვრა საკრებულოს მორიგი სხდომა.

7.3. „მუნიციპალიტეტის ორგანოების, დაწესებულებების და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებული კერძო სამართლის იურიდიული პირ(ები)ს მიერ საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესისა და პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ნუსხის დამტკიცების თაობაზე“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

მომხს: დ. კვერდელიძე
თანამომ: ე. გორდელაძე
განკარგულება თან ერთვის
მიღებულ იქნა 32-ხმით

დადგენილების მიღების ვადად განისაზღვრა საკრებულოს მორიგი სხდომა.

8.4. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

მომხს: დ. კვერდელიძე
თანამომხს: დ. ჭაკნელიძე
განკარგულება თან ერთვის
მიღებულ იქნა 32-ხმით

ამ განკარგულების მიღებისას საკრებულოს წევრმა დ.სიხარულიძემ განაცხადა, რომ ნატანების ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე არსებულ, საპრივატიზებო 5 ათას მეტრამდე სასოფლო-სამეურნეო მიწას მიმდებარე მოსახლეობა იყენებს საძოვრად და წინააღმდეგი არიან მისი პრივატიზების. ითხოვა საკითხი გადაეწყვიტათ მოსახლეობასთან შეხვედრის შემდეგ. სხდომის თავმჯდომარის დ. კვერდელიძის წინადადებით საკრებულომ კენჭისყრით(34-ხმა) მხარი დაუჭირა ამ ნაკვეთის ნუსხიდან ამოღებას და მოსახლეობასთან კომისიის შეხვედრის შემდეგ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას.

9.5. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის ანგარიში 2015 წელში გაწეული მუშაობის შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხს: დ. კვერდელიძე
თანამომ: გ. ჩავლეშვილი
განკარგულება თან ერთვის
მიღებულ იქნა 36-ხმით

10.6. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის ანგარიში 2015 წელში გაწეული მუშაობის შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხს: დ. კვერდელიძე
თანამომ: დ. ჭაკნელიძე
განკარგულება თან ერთვის
მიღებულ იქნა 36-ხმით

11.7. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის ანგარიში 2015 წელში გაწეული მუშაობის შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხს: დ. კვერდელიძე
თანამომ: ე. გორდელაძე
განკარგულება თან ერთვის
მიღებულ იქნა 36-ხმით

12.8. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის ანგარიში 2015 წელში გაწეული მუშაობის შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხს: დ. კვერდელიძე
თანამომ: ტ. არშიძე
განკარგულება თან ერთვის
მიღებულ იქნა 36-ხმით

13.9. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის ანგარიში 2015 წელში გაწეული მუშაობის შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხს: დ. კვერდელიძე
თანამომ: ლ. საჯაია
განკარგულება თან ერთვის
მიღებულ იქნა 36-ხმით

სხდომის თავმჯდომარემ დ. კვერდელიძემ განაცხადა, რომ კმაყოფილია კომისიათა მუშაობით, მაგრამ უკეთესი იქნებოდა ანგარიშებში ელაპარაკათ იმ საკითხებზეც, რომელთა გადაწყვეტაც ვერ შეძლეს.

14.10. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის პირველი კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

მომხს: დ. კვერდელიძე
თანამომ: ნ. თავდუმაძე
განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 36-ხმით

საკითხების განხილვის დამთავრების შემდეგ განცხადებები გააკეთეს საკრებულოს წევრებმა:

ი.მამალაძემე. წ. თოვლის საწმენდი „სამკუთხედების“ დამზადების და სოფლებში დარიგების თაობაზე.

ტ. აროშიძემ-რომლის აზრითაც „სამკუთხედებს“ უჭირს დიდი თოვლის გაწმენდა და უმჯობესია შეძენილი იქნას ტრაქტორებისათვის საწმენდი დანები.


ნ. კალანდარიშვილის აზრით უმჯობესია სოფლებში არსებული ტექნიკის გამოყენება.

სხდომის თავმჯდომარემ დ. კვერდელიძემ განაცხადა, რომ ხელისუფლება მოვალეა დაეხმაროს მოსახლეობას, უნდა აღინიშნოს რომ აღმასრულებელმა ხელისუფლებამ ამ დიდთოვლობისას წრმატებულად იმუშავა.

ამის შემდეგ მუნიციპალიტეტის შესაბამისმა თანამდებობის პირებმა(ბ. გობრონიძე) პასუხი გასცეს ელექტრონულად შემოსულ მოქალაქეთა შეკითხვებს.

სხდომა დახურულად გამოცხადდა.

დიმიტრი კვერდელიძე



თავმჯდომარის მოადგილე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო